MOH 8 23 00322240

27/03/2023

საფინანსო-ეკონომიკური დეპატრამენტის უფროსს
ბატონ **ბექა ჯაყელს**

ბატონო ბექა,

როგორ მოგეხსენებათ ,,სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის N15 ბრძანების შესაბამისად, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის გადახდა ხდება მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშიდან, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. სისტემის მეშვეობით ერთი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნებისათვის საფასურის ოდენობა შეადგენს: 50 ლარს ყოველ შემდგარ ტენდერზე ან როდესაც ტენდერს მიენიჭა სტატუსი ,,ტენდერი შეწყვეტილია“; 25 ლარს როდესაც შესაბამის ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების ვადის დასრულების მომენტისთვის სატენდერო წინადადება არ წარმოუდგენია არცერთ პრეტენდენტს. 2023 წლის 27 მარტის მდგომარეობით, გადასახდელია შემდეგი ტენდერების - NAT230005407; NAT230002782; NAT230002779; NAT230002766; NAT230000650; NAT230000409 - სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური ჯამში - 300 ლარი.

ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის №15 ბრძანების შესაბამისად, დადგინდა, რომ:

1. სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის გადახდისას, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გადახდის დანიშნულების ველში უნდა მიეთითოს: „ქვეკოდი – 9001, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური“;
2. საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის გადახდისას, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გადახდის დანიშნულების ველში უნდა მიეთითოს: „ქვეკოდი – 9002, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური“.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი
შორენა ჭილაშვილი